საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000076936259319

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **9** **06 / მარტი / 2019 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის „გრეიდერის“ ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახური“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ა. ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ე. ქვეპუნქტის, მე-4 და მე- 6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის („გრეიდერი“, მარკა XCMG, საიდენტიფიკაციო ნომერი XUG13503PDDB00067, გამოშვების წელი 2013წ, რეგისტრაციის თარიღი15.11.2013წ.) **ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახური“-სათვის** პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით უვადოდ გადაცემა.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი